მატჩამდე ოცდაათი საათია

ფეხბურთის გულშემატკივრებს აქ ყოველთვის ნახავთ, მაგრამ დღეს მაინც სულ სხვაა. სხვანაირი დღე აქვთ ფეხბურთელებსაც–ამიტომ თუა ყრუდ დახშული დიღმის ბაზის რკინის ჭიშკარი სწორედ ისეა, როგორც ზღაპარში–ჰაერში ჩიტს ვერ გაუჭაჭანებია და მიწაზე ჭიანჭველას.

ალვის ხეებსა და ღობის მიღმა კი სიჩუმეა. თბილისის "დინამო" ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება.

ყველაფერი თითქოსდა ჩვეულებრივად დაიწყო. ბიჭები ცხრა საათზე წამოიშალნენ, ძალდაუტანებელი, მსუბუქი ვარჯიში, საუზმე. მერე აქეთ–იქით იფანტებიან. დრო ნელა გადის და თითოეული თავისებურად იყენებს ამ "თავისუფალ" დროს, ხვალინდელ მატჩზე ან საერთოდ, ფეხბურთზე არავინ ლაპარაკობს, ფიქრით კი...

საოცრად ნელა მიიზლაზნება დრო. დარბაზში ათიოდე ფეხბურთელია. არა, ასე ყურებჩამოყრილი ჯდომა არ ივარგებს, რომელიღაცამ ერევნის "არარატთან" მატჩის ვიდეო ჩანაწერი ჩართო. ტელევიზორის წინ ჩამორიგებულ სავარძელში სხედან. ასე, მაყურებლის სკამიდან უკეთ ჩანს შეცდომები.

პირველი ტაიმი. ჯარიმა. ყიფიანი. ძლიერად დარტყმული ბურთი სულ ოდნავ სცდება კარს.

– შეხედე, შეხედე. არადა ყური რომ უგდო, ფეხი მტკივაო.

ეს ხანჩაგაშვილი "იგესლება". შოთა იშვიათად იტყვის რამეს, მაგრამ თუ თქვა...

მუჯირის რეიდი. როგორც ჩანს, იერიშის გაგრძელება არასწორია. ერთი შენიშვნას იძლევა, მეორე დამცველად დაუდგა მცველს. უკანვე აბრუნებენ ფირს – კიდევ ერთხელ ნახვაა საჭირო.

"მაყურებელი" ხან ემატება დარბაზს, ხან აკლდება. შენგელია და დარასელია ეზოში არიან. აქვე, გვერდით გუცაევი ენაკვიმატობს მილანურ ამბებზე. დარბაზში კი ისევ გრძელდება მატჩი.

გოჩა მაჩაიძე მეტოქის მოტყუებას ცდილობს, წააქციეს.

– რას აკეთებდი გოჩა?– რბილად ეკითხება ძმა.

რასა და არ გამიშვეს.

– ვინ გაგიშვებდა?– ისევ შოთა თუ ენატკბილობს.

დარბაზში ოტელო შემოდის, ეს სახელი ბიჭებმა დაანათლეს დიღმის ბაზის დარაჯს მიშა იაკობაშვილს, ცოტა ხანში დომინოს ქვაბიც არაკუნდა – მაგიდას ოტელო და მანუჩარი უსხედან. იქვეა კანთელაძეც – მეტოქეებს ადევნებს თვალს.

დასაწყისში ოტელოს მხარს უჭერს ფორტუნა.

– ეს ათი, ძვირფასო, და ნოდარ ახალკაციც გამოჩნდა დარბაზში. მალე ალბათ საფეხბურთო თათბირი დაიწყება. ტელევიზორის ეკრანზე ახლა რომელიღაც უგემური ფილმის კადრებია, უგულისყუროდ უცქერიან ბიჭები. პატარა მაგიდაზე კი თანდათან ცხარდება ბრძოლა.

აბა, რა გიყო, ხვალ თამაში გაქვს, შენი ნერვიულობა არ შეიძლება. მანო უხმოდ ყლაპავს "შეურაცხყოფას".

– ეს ფეხბურთი არ გეგონოს. შუა მინდორში რომ დაიჭერ ბურთს და ხალხს ატყუებ, ჩემთან არ გაგივა,– თანდათან ეშხში შედის ოტელო.

წუხელ უვარჯიშიათო, რომელიღაცამ თქვა. მერე ფაკეტიც ახსენეს, ანასტაზიც.

დრო ნელა, მაგრამ მაინც გადის. გარეთ, მინი–მოედანზე ნიაზ ძიაშპპა და სლავა მეტრეველი სათადარიგო შემადგენლობას ავარჯიშებენ. ბათქაბუთქი გაუდის მოედანს შემოვლებულ მავთულის ბადეს, უფრო იქით, რკინის ალაყაფს მიღმა ცნობისწადილაღძრულ გულშემატკივართა მთელი არმიაა. დიღმის ბაზაში თავისი რიგით მიდის ცხოვრება.

ხვალ შავ-ცისფერებთან მატჩის მეორე, თბილისური რაუნდია. იქნებ მილანურზე ძნელი და მომქანცველიც. ამაზე არ ლაპარაკობენ, ფიქრით კი ალბათ ყველა ფიქრობს. შეკრების დაწყებამდე ბევრი აღარაფერი რჩება. პატარა მაგიდასთან ფორტუნას პირი შეუქცევია –ახლა მანუჩარ მაჩაიძეს უმშვენებს გვერდს.

– ეს ოცი, ხელშიც თხუთმეტი, მოურიე ბროწეულო.

მერე ყველაფერი ერთბაშად შეწყდა – ფილმიც, დომინოს ქვების რაკუნიცა და რუბლიკებიც. სავარძლებმა კედლების გასწვრივ გადაინაცვლეს.

ყველანი აქ არიან...

დღის პირველი საათია. სწორედ ამ დროს "დინამოს" სტადიონის მინდორზე სავარჯიშოდ გამოდის სახელგანთქმული "ინტერი".

მატჩამდე ოცდაათი საათიღა რჩება...

”ლელო” 29 სექტემბერი 1977 წ.